



ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება №28

2018 წლის 2 მარტი

ქ.ლაგოდეხი

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილების 22-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტისა და ამავე მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულებით:

მუხლი 1

მიეცეს თანხმობა, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერს, დანართი №1-ის შესაბამისად განსაზღვრული მუნიციპალიტეტის ქონება, პირდაპირი განკარგვის წესით, უსასყიდლო სარგებლობის უფლებით, უზუფრუქტის ფორმით, უფლებამოსილების განსახორციელებლად გადასცეს ა(ა)იპ „კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა განვითარების ცენტრს“, უფლებამოსილების ვადით.

მუხლი 2

განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მუხლი 3

განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია კანონმდებლობით დადგენილი წესით, გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში, გურჯაანის რაიონულ სასამართლოში, შემდეგ მისამართზე: ქ.გურჯაანი, სანაპიროს ქ. №24.

საკრებულოს თავმჯდომარე



კარლო ჯამბურია